ქვეშეთი-კობის საავტომობილო გზა - ლოტი 1 და ლოტი 2

საინფორმაციო ბუკლეტი

შესავალი

წინამდებარე საინფორმაციო ბუკლეტის მიზანია, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირებისთვის, მიწის შესყიდვისა და განსახლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საკომპენსაციო ღონისძიებების გაცნობა.

პროექტი, ქვეყნის უმთავრესი გზების მოდერნიზაციის, საქართველოს მთავრობის მიერ დაწყებული პროგრამის ნაწილს წარმოადგენს. პროგრამა ხორციელდება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის (შემდგომში დეპარტამენტი) მიერ. პროგრამის მიზანია ქვეყნის მთავარი მაგისტრალების მოდერნიზაცია, მეზობელ ქვეყნებთან სატრანსპორტო მოძრაობისა და ტვირთების გადაზიდვის მდგომარეობის გაუმჯობესება.

ქვეშეთი-კობის საავტომობილო გზის პირველი ლოტი მოიცავს წკერე-კობის მონაკვეთს, რომელიც წარმოდგენილია 9 კილომეტრიანი გვირაბის სახით, მეორე ლოტი მოიცავს ქვეშეთი-წკერეს 12.7 კილომეტრიან მონაკვეთს, ამავე გზის შემადგენელი ნაწილია გუდაურთან მისასვლელი გზა, რომლის საპროექტო სიგრძე შეადგენს 4.95 კმ-ს, აღნიშნული მონაკვეთი დააკავშირებს ქვეშეთი-კობის საავტომობილო გზას გუდაურთან.

მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმა ეფუძნება როგორც საქართველოში მოქმედ კანონმდებლობის, ასევე საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების - აზიის განვითარების ბანკისა (ADB) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) პოლიტიკას.

პროექტის განლაგების სქემა



კომპენსაციის მიღებაზე უფლებამოსილება და საკუთრების უფლება

პროექტის ფარგლებში დასახული ამოცანების შესრულება განხორციელდება კომპენსაციაზე უფლებამოსილების და საკუთრების უფლების მატრიცის შესაბამისად, რომელიც შემუშავდა საქართველოს კანონმდებლობის, აზიის განვითარების ბანკისა (ADB) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) პოლიტიკის საფუძველზე.

კომპენსაციის მიღების უფლებამოსილებათა მატრიცა მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

საკომპენსაციო უფლებამოსილების მატრიცა

დანაკარგის ტიპი	**ზემოქმედება**	**ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ოჯახების და პირების კატეგორია**	**კომპენსაციაზე უფლებამოსილება**
მიწას			
სასოფლო-სამეურნეო მიწის მუდმივი დაკარგვა	ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირი, რომელიც კარგავს ნაყოფიერ სასოფლო-სამეურნეო მიწას ზემოქმედების სიმწვავის მიუხედავად	**საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეები**	ნაღდი ფულით კომპენსაცია არსებული საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით. თუ ნაკვეთის დარჩენილი ნაწილი გამოუსადეგარი ხდება, პროექტი მთლიანად შეიძენს ნაკვეთს, ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების სურვილის შემთხვევაში.
		<u>ლეგალიზაციას დაქვემდებარებული მესაკუთრე:</u> (ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირები, რომელთა განაცხადი ლეგალიზაციის მიღებაზე ჯერ კიდევ განხილვის პროცესშია და არარეგისტრირებული მიწის ნაკვეთების მოსარგებლეები, რომლებიც კანონიერად სარგებლობენ მიწით და საკარმიდამო მიწის მახლობლად ფლობენ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთს ან საკარმიდამო ნაკვეთს).	ზემოქმედების ქვეშ მყოფი ასეთი პირების უფლებები დაკანონებული იქნება, მიწის რეგისტრაცია მოხდება საჯარო რეესტრში და ისინი მიიღებენ ფულად კომპენსაციას ჩანაცვლების ღირებულებით.
		უკანონო მფლობელები/რეგისტრაციის/ კანონიერი დოკუმენტაციის არმქონე პირები	არამართლზომიერი მფლობელები, რომლებიც კარგავენ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთს, ერჯერადად მიიიღებენ კომპენსაციას 5 სულიანი ოჯახისთვის განსაზღვრული 1 თვის საარსებო მინიმუმის 12 ჯერად ოდენობას აქტიურად კულტივირებული მიწის ნაკვეთის სანაცვლოდ, ხოლო 3 ჯერად ოდენობას - არაკულტივირებული / გამოუყენებელი მიწის ნაკვეთის სანაცვლოდ.
		სასოფლო-სამეურნეო მიწის მოიჯარე	დაკარგული მოსავლიდან მიღებული შემოსავლის სრული კომპენსაცია x იჯარის დარჩენილ წლებზე (4 წლამდე), თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული საიჯარო ხელშეკრულებით. იჯარის შემთხვევაში, მიწის მესაკუთრეს არ გადაეცემა მოსავლის კომპენსაცია, ხოლო პროექტის განმახორციელებელი ორგანო, ადგილობრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობით უზრუნველყოფს მოიჯარის დახმარებას სანაცვლო საიჯარო ფართის მოძიებით.
არასასოფლო-სამეურნეო მიწა	ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირი, რომელიც კარგავს კომერციულ /	**რეგისტრირებული მესაკუთრეები**	ნაღდი ფულით კომპენსაცია საბაზრო ღირებულების ოდენობით.
		<u>ლეგალიზაციას დაქვემდებარებული მესაკუთრე:</u> (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად)	ზემოქმედების ქვეშ მყოფი ასეთი პირების უფლებები დაკანონებული იქნება, მიწის რეგისტრაცია მოხდება საჯარო რეესტრში და ისინი მიიღებენ ფულად კომპენსაციას საბაზრო ღირებულებით.
		უკანონო მფლობელები: რეგისტრაციის/ კანონიერი	არამართლზომიერი მფლობელები/ რეგისტრაციის/ კანონიერი დოკუმენტაციის არმქონე ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირები,

დანაკარგის ტიპი	ზემოქმედება	ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ოჯახების და პირების კატეგორია	კომპენსაციაზე უფლებამოსილება
	საკარმიდ ამო მიწას	დოკუმენტაციის არმქონე პირები	რომლებიც კარგავენ ერთადერთ საკარმიდამო ან შემოსავლის მომტან მიწის ნაკვეთს, ერჯერადად მიიიღებენ კომპენსაციას 5 სულიანი ოჯახისთვის განსაზღვრული 1 თვის საარსებო მინიმუმის 12 ჯერად ოდენობას, ეს ეხებათ მხოლოდ იმ პირებს, რომლებსაც შეეხოთ ფიზიკური განსახლება და რომლებსაც არ გააჩნიათ სხვა საცხოვრებელი.
დროებითი ზემოქმედება მიწის ნაკვეთზე	N/A	N/A	მიწის ნაკვეთზე დროებითი ზემოქმედების კომპენსაცია მოხდება ზემოქმედების პერიოდში მიწის ნაკვეთის ნაყოფიერების საფუძველზე და შემდეგ აღმასრულებელი ორგანოს მიერ მოხდება მის პირვანდელ მდგომარეობამდე აღდგენა.
შენობა-ნაგებობები			
საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ნაგებობები/აქტივები		ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ყველა ოჯახი კანონიერი საკუთრების/რეგისტრაციის სტატუსის მიუხედავად (მათ შორის ლეგალიზებადი და არაოფიციალური მობინადრეები)	ფულადი კომპენსაცია შენობის / ნაგებობების დაკარგვის სანაცვლოდ სრული ჩანაცვლების ღირებულებით, ტრანზაქციის გადასახადებისა და ამორტიზაციის დარიცხვის გარეშე.
საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის / საერთო საკუთრების რესურსების დაკარგვა			
საზოგადოებრივი საკუთრების რესურსების დაკარგვა	თემის / საზოგადოებრივი აქტივები	საზოგადოება / სახელმწიფო	დაკარგული ნაგებობების რეკონსტრუქცია საზოგადოებასთან კონსულტაციების შედეგად და მათი ფუნქციების აღდგენა
შემოსავლისა და საარსებო წყაროს დაკარგვა			
მოსავალი	ზემოქმედებას დაქვემდებარებული ნათესები ან სასოფლო-სამეურნეო მიწები, რომლებიც მუდმივად გამოიყენება შესაბამისიმო სავლის მიღებისთვის.	ზემოქმედების ქვეშ მყოფი ყველა პირი კანონიერი საკუთრების/რეგისტრაციის სტატუსის მიუხედავად (მათ შორის ლეგალიზებადი და არაოფიციალური მობინადრეები)	მოსავლის ფულადი კომპენსაცია სრული საბაზრო ღირებულებით მოსალოდნელი მოსავლის ღირებულების გათვალისწინებით.
ხეები	ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მრავალწლიანი ნარგავები	ზემოქმედების ქვეშ მყოფი ყველა პირი კანონიერი საკუთრების/რეგისტრაციის სტატუსის მიუხედავად (მათ შორის ლეგალიზებადი და არაოფიციალური მობინადრეები)	კომპენსაცია ნაღდი ფულით საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით, ხეების ტიპის, ხანდაზმულობის და ნაყოფიერების საფუძველზე (ხის მოსალოდნელი მოსავალი გამრავლებული მსგავსი პროდუქტიულობის ხის გაზრდისთვის საჭირო წლებზე).
ბიზნესი/დასაქმება	ბიზნესის/სამუშაოს დაკარგვა	ზემოქმედების ქვეშ მყოფი ყველა პირი კანონიერი საკუთრების/რეგისტრა	<u>მესაკუთრე:</u> (i) <u>(მუდმივი ზემოქმედება)</u> ფულადი ანაზღაურება 1 წლის წმინდა

დანაკარგის ტიპი	ზემოქმედება	ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ოჯახების და პირების კატეგორია	კომპენსაციაზე უფლებამოსილება
		ციის სტატუსის მიუხედავად (მათ შორის ლეგალიზებადი და არაოფიციალური მობინადრეები)	შემოსავლის ოდენობით ან შემოსავლის მტკიცებულების არარსებობის შემთხვევაში ან იმ შემთხვევებში, თუ ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებს გადახდილი აქვთ ფიქსირებული გადასახადი, ისინი მიიღებენ კომპენსაციას 12 თვიანი საარსებო მინიმუმის ოდენობით. (ii) <u>(დროებითი ზემოქმედება)</u> ფულადი ანაზღაურება ბიზნესის შეჩერებული თვეების მიხედვით წმინდა მოგების ოდენობით. შემოსავალი დაიანგარიშება საგადასახადო დეკლარაციის ან მისი არარსებობის შემთხვევაში, საარსებომინიმუმის საფუძველზე. <u>მუდმივი მუშაკი/დასაქმებული პირი:</u> დაკარგული ხელფასის ანაზღაურება 3 თვის ოდენობით, ან საგადასახადო დოკუმენტაციის არარსებობის შემთხვევაში, ერთჯერადი შემწეობა საარსებო მინიმუმის 3 კერადი ოდენობით. ყველა ზემოაღნიშნულ შემთხვევაში აუცილებელია გარკვეული ოფიციალური დოკუმენტების წარმოდგენა.
შემწეობა			
ძლიერი ზემოქმედებები	ფიზიკური განსახლება ან მიწის ნაკვეთის 10%-ის დაკარგვა	ძლიერი ზემოქმედების ქვეშ მყოფი ყველა ოჯახი, არაფორმალური მობინადრეების ჩათვლით	**სასოფლო-სამეურნეო შემოსავალი:** 1 დამატებითი მოსავლის კომპენსაცია, რაც მოიცავს ზემოქმედების ქვეშ მყოფი მიწიდან მიღებული ერთი წლის მოსავალს ან **სხვა სახის შემოსავალს:** დამატებითი კომპენსაცია 3 თვის საარსებო მინიმუმის ოდენობით.
გადაადგილება/ ადგილმონაცვლეობა	სატრანსპორტო/ ადგილმონაცვლეობის ხარჯები	ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ყველა ადგილმონაცვლე ოჯახი	დახმარება ტრანსპორტირებისა და საცხოვრებელი ხარჯების დასაფარად გადასვლის პერიოდში. (200 ლარი სატრანსპორტო საშუალების დაქირავებაზე + 3 თვის საარსებო მინიმუმი).
მოწყვლადობის შემწეობა		ზემოქმედების ქვეშ სიღარიბის ზღვარს ქვევით მყოფი ოჯახი, ქალი, შშმ პირი ან ლტოლვილი/იძულებით გადაადგილებული პირი.	ერთჯერადი დახმარება 3 თვის საარსებო მინიმუმის ოდენობით, ასევე პროექტში ჩართვა დასაქმების კუთხით. დამატებითი დახმარების სახით, შესაძლებელია შეთავაზებული იყოს ადგილმონაცლეობაში დახმარების გაწევა, რომელიც შეიძლება მოიცავდეს საჭიროების შემთხვევაში ლოჯისტიკურ საკითხებს, გადაადგილების დაგეგმვას, ჩანაცვლებითი საცხოვრებელი ადგილის მოძიებას და ა.შ.
გაუთვალისწინებელი ზემოქმედება მშენებლობის პროცესში, მათ შორის დროებითი ზემოქმედებები და ზემოქმედებ	ზემოქმედების არეალის ფარგლებს გარეთ ან განთვისების ზოლს გარეთ არსებულ ქონებაზე ან აქტივებზე ზემოქმედება მშენებლობის პროცესში	ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ყველა პირი.	ზემოქმედების იდენტიფიცირების შემდეგ კომპენსაციის შეფასება და გადახდა უნდა მოხდეს SPS 2009 და EBRD PR 5-ის მოთხოვნების საფუძველზე.

დანაკარგის ტიპი	ზემოქმედება	ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ოჯახების და პირების კატეგორია	კომპენსაციაზე უფლებამოსილება
ები საარსებო წყაროებზე			
ფუჭი ქანების სანაყაროსთან და სამშენებლო ბანაკებთან დაკავშირებული ზემოქმედებები	დროებითი ზემოქმედება	ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირები, რომლებიც იყენებენ პროექტის ფარგლებში არსებულ საძოვრებს	ნებისმიერი დროებითი ზემოქმედება, რომელიც გამოწვეულია ფუჭი ქანების სანაყაროების ან სამშენებლო ბანაკების მოსაწყობად, მიწის ნაკვეთის გამოყენების საკითხი დარეგულირდება კონტრაქტორსა და მიწის მესაკუთრეს შორის შეთანხმების საფუძველზე.
	მუდმივი ზემოქმედება		ნებისმიერი მუდმივი ზემოქმედება, რომელიც გამოწვეულია გამოუსადეგარი მასალის ან გზის არსებული ნაწილების დემონტაჟის შედეგად დარჩენილი ნარჩენების საბოლოო განთავსების მიზნით, სათანადოდ კომპენსირდება, LARP-ით განსაზღვრული პირობების შესაბამისად. გარდა ამისა, თივისა და საძოვრების დაკარგვის სანაცვლოდ, ასეთის არსებობის შემთხვევაში, შეფასდება და გაიცემა სათანადო დახმარება პროექტის განხორციელების განმავლობაში.

საჩივრებზე რეაგირების მექანიზმი

შემუშავებულ იქნება საჩივრებზე რეაგირების მექანიზმი, რომელიც ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებს აძლევს საშუალებას გაასაჩივრონ ნებისმიერი გადაწყვეტილება თუ საქმიანობა, რომელიც მათი ქონების ან შემოსავლის კომპენსაციას ეხება. კონსულტაციების, კვლევის და კომპენსაციის გადახდის პერიოდში ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები სრულად იქნებიან ინფორმირებული საკუთარი უფლებების და საჩივრებზე რეაგირების პროცედურების შესახებ ზეპირი ან წერილობითი სახით. ყველაფერი გაკეთდება, რათა მინიმუმამდე დავიდეს საჩივრების რაოდენობა. ამის მიღწევა შესაძლებელია პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების სრული ჩართულობით და მათთან კონსულტაციით, ასევე შესაბამისი კომუნიკაციითა და თანამშრომლობით აღმასრულებელ ორგანოებსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის. საჩივრებზე რეაგირება განხორციელდება ქვემოთ მოყვანილ ცხრილში აღწერილი პროცესის შესაბამისად.

გასაჩივრების მექანიზმი მოიცავს მუნიციპალურ დონეზე ჩამოყალიბებულ სპეციალურ კომიტეტსა და დეპარტამენტში არსებულ მუდმივმოქმედ კომისიას. საჩივრებზე რეაგირების კომიტეტი (GRCE) შექმნილია მუნიციპალურ დონეზე როგორც სპეციალური ინსტრუმენტი და იგი მოქმედია პროექტის განხორციელების სრული პერიოდის მანძილზე. დეპარტამენტში არსებული პრობლემური საკითხების მუდმივმოქმედი კომისია (GRCN) უზრუნველყობს ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მოქალაქეების საჩივრების განხილვას, გადაწყვეტას და აღრიცხვას.

საჩივრებზე რეაგირების კომიტეტი (GRCE) არის, ასევე საჩივრებზე რეაგირების მექანიზმი, რომელიც პირველ ეტაპზე ადმინისტრირებას უწევს გასაჩივრების პროცესს. აღნიშნული ორგანო ყალიბდება თითოეულ მუნიციპალიტეტში (სოფლის/თემის ხელმძღვანელობა), სადაც არის პროექტის ზემოქმედება. GRCE შემადგენლობაში შედიან როგორც გარემოსა და სოციალურ საკითხთა სამსახურის წარმომადგენლები, ასევე ადგილობრივი მოსახლეობა და მუნიციპალიტეტის თანამშრფომლები.

საჩივრების დაკმაყოფილების პროცესი

საფეხური	პროცესი
საფეხური 1	საჩივარი არაფორმალურად განიხილება საჩივრების განხილვისკომიტეტში, რომელიც მიმართავს ყველა საჭირო ზომას სადავო საკითხის მოსაგვარებლად.
საფეხური 2	• თუ საჩივრის დაკმაყოფილება მოლაპარაკების დონეზე ვერ ხერხდება, გარემოს დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფლებამოსილი თანამშრომელი დაეხმარება საჩივრის ავტორს ოფიციალურად წარადგინოს განცხადება

საფეხური	პროცესი
	დეპარტამენტში. ზემოქმედების ქვეშ მოქცეულმა პირებმა საჩივარი უნდა წარადგინონ ადგილობრივ დონეზე, რომლებმაც უნდა წარადგინონ დოკუმენტები, რომლებიც ასაბუთებენ, მათ პრეტენზიას. • საჩივრების განხილვის კომიტეტის წევრი/მდივანი შეისწავლის საჩივრებს და მოამზადებს შესაბამის დოკუმენტს კომიტეტისთვის წარსადგენად. საქმის ოფიციალური მოსმენა კომიტეტში დაინიშნება კომიტეტის მდივნის მიერ მითითებულ დღეს კრების მოწვევაზე პასუხისმგებელ კომისიის წევრთან და საჩივრის მქონე ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირთან შეთანხმებით. • მოსმენის დღეს საჩივრის მქონე ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირი გამოცხადდება გამგეობაში და საჩივრების განხილვისა და დაკმაყოფილების კომიტეტს წარმოუდგენს დოკუმენტებს, რომელიც ამყარებს მის პრეტენზიას. წევრი მდივანი ჩაიწერს მოსმენაზე გამოთქმულ განცხადებებს საჩივრის შესახებ და დოკუმენტურად ჩაინიშნავს ყველა ინფორმაციას; • მიღებული გადაწყვეტილება ეცნობება კრების მოწვევაზე პასუხისმგებელ პირს და მასზე ხელს აწერენ საჩივრების განმხილველი კომიტეტის სხვა წევრებიც. მოხდება საქმის მასალების განახლება, ხოლო გადაწყვეტილება გადაეცემა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირს გარემოს დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ. • საჩივრის განხილვის ეს ეტაპი უნდა დასრულდეს 4 კვირის განმავლობაში.
საფეხური 3	თუ საჩივრის მქონე ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირი არ კმაყოფილდება საჩივრების განხილვისა და დაკმაყოფილების კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, შემდეგი საფეხურია საჩივრის წარდგენა ეროვნულ დონეზე რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საგზაო დეპარტამენტისადმი კომისიის გადაწყვეტილების მიღებიდან 2 კვირის ვადაში. მომჩივანებმა უნდა წარმოადგინონ მათი საჩივრის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. კომიტეტი განიხილავს საჩივრების განხილვის კომისიის ჩანაწერებს და გადაწყვეტილებას გადაუგზავნის ზემოქმედების ქვეშ პირს, საჩივრის მირებიდან 4 კვირის განმავლობაში.
საფეხური 4	თუ საჩივრის მქონე ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირი უკმაყოფილოა საბოლოო გადაწყვეტილებით, მას შეუძლია დავა გააგრძელოს სასამართლოში. ეს საჩივრები შეიძლება ეხებოდეს არა მხოლოდ კომპენსაციის ოდენობას, არამედ სხვა საკითხებსაც, მაგ. კონტრაქტორის მიერ მათი თანხმობის გარეშე მათი მიწის ნაკვეთის დაკავების საკითხს, საკუთრების დაზიანების ფაქტს, მიწის გამოყენების შეზღუდვას, გარემოსდაცვით საკითხებს, როგორიცაა კონტრაქტორის სამშენებლო ტექნიკით გამოწვეული მტვერი და ა.შ.

საკონტაქტო ინფორმაცია

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო - საავტომობილო გზების დეპარტამენტი

გარემოს დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსის მოადგილე -
ნინო მცურავიშვილი Tel: +995 595 026 688

აზიის ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტების კოორდონატორი
არჩილ ჯორბენაძე Tel: +995 591 403 038

საჩივრის წარდგენის ფორმა

#	
სახელი, გვარი	

საკონტაქტო ინფორმაცია **გთხოვთ, მიუთითოთ კომუნიკაციის თქვენთვის სასურველი ფორმა (ფოსტა, ტელეფონი, ელ.ფოსტა)**	**☐ფოსტა: გთხოვთ მიუთითოთ საფოსტო მისამართი:** _____ _____ _____ **☐ტელეფონი:** _____ **☐ელ.ფოსტა:**_____
კომუნიკაციისთვის სასურველი ენა	**☐ქართული** **☐ინგლისური** **☐რუსული**
აღწერეთ საჩივარი	რასთან დაკავშირებით გაქვთ პრეტენზია? რას ეხება საჩივარი?
მოლაპარაკების თარიღი	მოლაპარაკებების შედეგი:
რა უდევს საფუძვლად თქვენს საჩივარს?	
_____ _____ _____ ხელმოწერა: _____ თარიღი: _____	